საქართველო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
გრძანება №01

ქ. ფოთი „05" იანვარი 2016 წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (სატრანსპორტო საშუალება OPEL OMEGA 2.0, სარეგისტრაციო ნომერი OHO 411, გამოშვების წელი – 1994, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №W0L000021S1044553) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 თებერვლის №5/14 განკარგულებისა და „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 თებერვლის №5/14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 სექტემბრის №21/86 განკარგულების შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება OPEL OMEGA 2.0-ის (სარეგისტრაციო ნომერი OHO 411, გამოშვების წელი – 1994, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №W0L000021S1044553) პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება OPEL OMEGA 2.0-ის (სარეგისტრაციო ნომერი OHO 411, გამოშვების წელი – 1994, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №W0L000021S1044553) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს **900.00** (ცხრაასი) ლარით, „ბე"

განისაზღვროს **180.00** (ასოთხმოცი) ლარით, ხოლო **ბიჯი** განისაზღვროს **90.00** (ოთხმოცდაათი) ლარით.

მუხლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: 2016 წლის 05 იანვრის 17:00 საათიდან 2016 წლის 20 იანვრის 17:00 საათამდე.

მუხლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე" ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 5. საპრივატიზებო მოძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია დაფაროს სატრანსპორტო საშუალების გადაფორმებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

მუხლი 9. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ,,ბე" სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

1. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.
2. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 10. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423332 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან).

მუხლი 11. ელექტრონული აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ".

მუხლი 12. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ვებგვერდზე www.eauction.ge.

მუხლი 13. უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო მოძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე" www.eauction.ge და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე www.poticity.ge.

მუხლი 14. უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო მოძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურმა, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის

მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე www.poticity.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებამ.

მუხლი 15. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო მოძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 16. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ნიკოლოზ გრიგოლიამ.

მუხლი 17. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 18. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი **ირაკლი კაკულია**

ბრძანება ეგზავნება: საქმისწარმოების განყოფილებას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურს, ბატონ ნიკოლოზ გრიგოლიას.

შემსრ. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების სამსახური